პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისათვის

სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ 2017 წლის 3 თებერვალს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, „გრანტის გაცემის წესის“ მე-13 მუხლის საფუძველზე, საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ (CDD) **პროექტი “პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისათვის”**, რომლის მიზანი გახლდათ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2017 წელს გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის.

მოკლე რეზუმე

- **პროექტის განხორციელების პერიოდი:** 2017 წლის 1 მაისი - 2017 წლის 31 ივლისი
- **პროექტის გეოგრაფიული არეალი:** სამეგრელო და ზემო სვანეთის რეგიონში შემავალი 5 თვითმმართველი ერთეული: **აბაშა, მარტვილი, სენაკი, ჩხოროწყუ, ხობი.**
- **პროექტის მიზანი:** პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა საარჩევნო კვალიფიკაციის ამაღლება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერება, ინტერაქტიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გზით; შიდა პარტიული დემოკრატიის წახალისება, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების, პოლიტიკური კულტურის დახვეწისა და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნისათვის.

პროექტში ჩაერთვნენ და მონაწილეები საარჩევნო ოლქების მიხედვით წარმოადგინეს შემდეგმა პოლიტიკურმა პარტიებმა:

- ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
- ევროპული საქართველო
- მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
- გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
- საქართველოს ლეიბორისტული პარტია
- საქართველოს რესპუბლიკური პარტია
- საქართველოს კონსერვატიული პარტია
- დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო
- ეროვნული ფორუმი
- თავისუფალი დემოკრატები
- ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
- თავისუფალი საქართველო
- თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა
- ახალი ქრისტიან - დემოკრატები
- სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო
- სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე
- საქართველოს მწვანეთა პარტია
- ქრისტიან დემოკრატიული პარტია
- საქართველოს ევროპელი დემოკრატები
- რეფორმატორები
- ახალი მემარჯვენეები
- ეროვნულ - დემოკრატიული პარტია (ედპ)
- ქართული დასი

25 პოლიტიკური გაერთიანების (19 კვალიფიციური და 7 არაკვალიფიციური)

ტრენინგების სპეციფიკა

- **პარტიებისა და ტრენინგებში მონაწილეობის** მსურველთა მიერ წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმების საფუძველზე დაკომპლექტდა 7 ჯგუფი (22-23 მონაწილე).
- სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 25 პოლიტიკური გაერთიანების (მათ შორის 19 კვალიფიციური და 7 არაკვალიფიციური) 155-მა რეგიონულმა წარმომადგენელმა და აქტივისტმა, რომელთაგან **72 (46,5%) იყო ქალი, ხოლო 83 (53,5%) კაცი.**
- ტენინგები თითოეული მონაწილე ჯგუფისათვის, მიმდინარეობდა **4 დღის** განმავლობაში.



ტრენერები

- ტრენინგები წარიმართებოდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე, სასწავლო კურსი „BRIDGE“-ის პროგრამის (დემოკრატიის, მმართველობის და არჩევნების სფეროში რესურსების განვითარების პროგრამა) აკრედიტებული ტრენერ-ექსპეტების მიერ, რომელთაც აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება, როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების, არჩევნების სადამკვირვებლო მისიების ხელმძღვანელობისა და პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობის კუთხით.
- გვინდა მადლობა გადავუხადოთ, პროექტების განხორციელების პროცესში, სწავლების ცენტრის კონტრიბუციას.

პროექტის ფარგლებში შექმნილი მასალები:

- პროექტის ლოგო
- სატრენინგო მასალა
- სახელმძღვანელო
- სტიკერები
- სერტიფიკატები
- ბანერი

ტრენინგების თემატიკა

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ეცნობოდნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა: არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის მოქმედი საარჩევნო სისტემა საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, მათი უფლებამოსილება და საარჩევნო ეთიკა; კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ანგარიშვალდებულება; კონფლიქტების მართვა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო სტანდარტები; წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები, საარჩევნო გარემოს ინკლუზიურობა, აგრეთვე დროის მენეჯმენტი, ლიდერობა და მსოფლიოში არსებული საარჩევნო სისტემების მიმოხილვა.

პროექტის/ტრენინგის შეფასება

თითოეული სატრენინგო დღის დასრულების შემდგომ მონაწილეები ახორციელებდნენ დღის შეფასებას, შემუშავებული ფორმის შესაბამისად. შეფასების ყველდღიური მექანიზმი საშუალებას იძლეოდა მოგვეხდინა მონაწილეთა მოლოდინების ანალიზი, შეგვეფასებინა მათ მიერ ტრენინგზე მიღებული ცოდნა, მისთვის საინტერესო ინფორმაცია და კმაყოფილების შედეგი. შეფასების ფურცლის გამოყენებით მონაწილე აფასებდა თითოეულ განვლილ საკითხს (აღნიშნავდა ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთს: საუკეთესო, კარგი, საშუალო და ცუდი), აფიქსირებდა როგორც კმაყოფილების შედეგს აგრეთვე შენიშვნებს.

მონაწილეთა მიერ ტრეინინგ სემინარის შეფასება



ამონარიდები მონაწილეთა შეფასებებიდან

„ძალიან დიდი მადლობა ესეთი ნაყოფიერი და საინტერესო ტრენინგებისთვის, დიდი სიამოვნებით დავესწრებოდი შემდგომშიც თქვენს ტრენინგებს.“

„25 წლის განმავლობაში მაქვს მიღებული მონაწილეობა სემინარებში, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.მინდა ვაღიარო რომ დღევანდელი სემინარი იყო საუკეთესო. სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას ამ ტიპის სემინარებში და ამ ტრენერების მონაწილეობით.“

„დიდი მადლობა პროექტის ორგანიზატორებს საინტერესო სემინარებისთვის, გისურვებდით უფრო ხშირად ყოფილიყო მსგავსი შეხვედრები.”

პროექტის ეფექტი /მიღწეული შედეგები

სამეგრელო და ზემო სვანეთის რეგიონის **5 საარჩევნო ოლქის მასშტაბით, მნიშვნელოვნად ამაღლდა 25 პოლიტიკური გაერთიანების (18 კვალიფიციური და 7 არაკვალიფიციური) 155 რეგიონალურ წარმომადგენლის კვალიფიკაციის დონე საარჩევნო საკითხების ირგვლივ.**

მონაწილეთა ცოდნის დონის შეფასების ანალიზიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგების დასაწყისში მონაწილეთა უმეტესობამ თავისი ცოდნა კონკრეტული საკითხების ირგვლივ შეაფასა მაღალ და უმაღლეს დონეზე (4-5 ბალზე), **ტრენინგის დასრულების შემდგომ მონაწილეთა უმრავლესობამ (90%) განაცხადა, რომ მათი ხედვა შეიცვალა** განხილული საკითხების ირგვლივ. **მონაწილეთა 100%-მა აღნიშნა რომ მისი მოლოდინები გამართლდა.**

მონაწილეთა განწყობისა და მოლოდინების შეფასება



დამატებით რა საკითხებზე ისურვებდით მომავალში ტრენინგების ჩატარებას?

- კონსტიტუცია და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მუშაობა;
- დებატების ტექნიკა;
- მასმედიასთან ურთიერთობა;
- როგორ დავგეგმოთ წინა საარჩევნო კამპანია სწორად, ფოკუს ჯგუფებთან მუშაობა;
- არჩევნების უსაფრთხოებისთვის, პარტიებს შორის კომუნიკაციების დამყარება;
- აქტიურ მოქალაქეობაზე და ამომრჩეველთა ვალდებულებებზე;
- ახლად შეტანილ ცვლილებებზე საარჩევნო კოდექსში;
- პოლიტ. პარტიების როლის შესახებ საქართველოში;
- პოლიტიკურ კულტურა;
- პოლიტიკური პარტიების შიდა სტრუქტურის ჩამოყალიბება;
- გუნდური მუშაობის მეტი გამოცდილება;
- საარჩევნო საჩივრებზე და დავებზე უფრო მეტი რამის შესწავლა;
- საარჩევნო სტანდარტები და სისტემები;
- საჯარო სამსახურების და სახელმწიფო სისტემების მართვა და პრინციპები;
- სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო სისტემები დეტალურად.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

CREATIVE | DYNAMIC | DIVERSE

აკაკი შანიძის N8, 0179, თბილისი
www.CDD.ge / Info@CDD.ge
www.Facebook.com/CDD.ge